15
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-3
ტელეფონი № 76.
კვირა 2 აპრილი 1917 წ.

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურად . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. კნ. ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 586 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 586

ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა.

აი ის სიტყვები, რომელშიაც ორიათასი წელია რაც კაცობრიობის უმეტესობა ხატავს თავის რწმენას, სიხარულს და იმედს. ამ ორი სიტყვით არის აღბეჭდილი კაცობრიობის ისტორიის უდიდესი მომენტი.

ისე ქრისტე მაშინ მოევლინა ქვეყანას, როდესაც საუკეთესო ქვეყნები ხანგრძლივი ბრძოლით ძალა მიხდილნი იყვნენ, როდესაც უდიდესი ძველი კულტურა ზნეობრივი გახრწნილებით ირღვეოდა, ერთა შორის კლასობრივი ბრძოლა მეტათ გამწვავებული იყო და ჭეშმარიტების ძიებაში თავბრუ დასხმული ერთა მოწინავე ნაწილი უიმედობით სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. არც ქონებრივი სიმდიდრე, არც სიამოვნების ფიალა, არც ძველი ფილოსოფიის ცოდნა, არც გმირობა, არც სხვა რამ ქვეყნიური ადამიანს მაშინ აღარ აკმაყოფილებდა, ვინაიდგან იგი ვნებათა ღელვით დამონებული სულიერ ტანჯვაში სულსა ლაფავდა. იმ ისტორიულ ხანაში **მძვინვარებდა სულიერი სენი და მეფობდა სასოწარკვეთილება.**

იმ დროს ქვეყნის გამოფხიზლება, საზოგადოებრივი შელახული სინდისის გაწმენდა, ყალბი თავმოყვარეობის გაბათილება, ცრუპატივმოყვარეობის გაქარწყლება, ვნებათა ღელვით აშფოთებული და დასნეულებული სულის განკურნება შეეძლო მხოლოდ ისეთ პიროვნებას, როგორიც იყო ქრისტე. ის იყო უზენაესი პიროვნება, განხორციელებული ჭეშმარიტება. მედგარი დამცველი ჩაგრულისა და უებარი მხსნელი ცოდვილი სულისა.

ქრისტემ ამხილა ძველი კულტურა და წინააღმდეგ გამეფებული ძალმომრეობისა, მეტოქეობისა, უსამართლობისა, ვნებათა გამეფებისა და პირადობის გაბატონებისა მან აღვიარა: **სიყვარული, სამართლიანობა, თანასწრობა და ადამიანის პატივისცემა.** ქრისტემ ცხადათ აუწყა ქვეყანას კაცობრიობის იდეალი **„ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“**, რომლის გამტკიცებასაც სიტყვით და საქმით თვითონვე ემსახურებოდა.

ქრისტეს მოძღვრება უმეტესობამ იწამა, უმეტესობამ კი უარყო. მის თავისუფალ ჭეშმარიტ სიტყვას უგნურმა მოწინააღმდეგმ ფიზიკური ძალა შეაჯახა, ქვეყნიური უფლება და რკინა ფოლადით გაჭედილი იარაღი გაუმკლავა. სისხლის ღვრით განიზრახა უგნურმა მადამ ჭეშმარიტების დაჩაგვრა, მაგრამ მოსტყუვდა ის ძალა.—**გაიმარჯვა ჭეშმარიტებამ,** იგი ვერც საფლავმა დაიჭირა, ვერც ლოდმა დააკავა, ვერც ჯოჯოხეთმა გააჩერა, ის მაინც აღდგა და ამით გაბრწყინდა ნათელი, დაითრგუნა სიკვდილი, გამეფდა სიცოცხლე, აყვავდა იმედი, გაღრმავდა რწმენა,

მართალია ბრძოლა არ გათავდა. ბოროტება არ დაცხრა, იგი მუდამ კეთილს სდევნიდა და ყოველ მხრივ მახეს უგებდა, მაგრამ ჭეშმარიტება მაინც იმარჯვებდა. აი ეს არის **საიდუმლოება იდეური ბრძოლისა.** ასე ხდებოდა უწინაც და ასე მოხდა ახლაც რუსეთის დიდ სამეფოში. აქაც ბოროტება მეფობდა, თვითნებობა თარეშობდა, რამაც მთელ საუკუნეებში თავისუფლებას ბორკილი დასდვა, ეროვნება დაჩაგრა, სინდისი დაატყვევა, პიროვნება გათელა, დაამცირა და გააუპატიურა, სარწმუნოება შებღალა, სამართალი გაანადგურა, ჭეშმარიტება ბნელს უფსკრულში ჩამალა, ღრმა ნიჭი და მაღალი ზნეობა გააბათილა მთელი ხალხის სვებედი მტარვალებს ხელში ჩაუგდო: საცოდავებს ეგონათ ეს მუდამ ასე იქნებოდა და ამ გვარ წესწყობილებას ძალა ექნებოდა. სასტიკად შესცდენ, ისტორიამ ვერ აუხილა მათ თვალი და ახლა სინამდვილემ ერთხელ კიდევ ჩასძახათ რომ ჭეშმარიტებას ბნელი ძალა ვერ დაიჭერს და ის მაინც გაიმარჯვებს.

ვინ დათრგუნა სიკვდილი და ვინ შემუსრა ჯოჯოხეთი? განხორციელებულმა სიყვარულმა, განსახიერებულმა ჭეშმარიტებამ, სულიერი ძლიერებით სავსე პიროვნებამ, ზნეობრივი სიფაქიზით შემკულმა არსებამ და გონებრივი იარაღით—იდეით—აღჭურვილმა მებრძოლმა.

მაშ, ვინ აღსდგა? აღსდგა ქრისტე ანუ სიმართლე, ჭეშმარიტება, სათნოება, თავისუფლება. აი სინამდვილე ცხოვრებისა და სიცხადე წარსულისა. აი ხმა ისტორიისა.

„ქრისტე აღსდგა“ თუ სხვისის იყო მისალოცი სიტყვები, დღეს მით უმეტეს ხმა მაღლა და საქვეყნოთ სათქმელია ამიტომაც ვულოცავ ამ სიტყვებით მთელ ქვეყნიერებას, რომ ერთხელ კიდევ დაინახონ აღდგომა ჩაგრული სიმართლისა და ჭეშმარიტებისა. ვულოცავ მთელი რუსეთის მოქალაქეთ, რომელთა პირი ამ დიად სიტყვებს მუდამ ამბობდა, მაგრამ წესწყობილება კი ამას არ ამტკიცებდა

ვულოცავ მთელ ქართველ ერს, რომელიც ამ სიტყვებს მუდამ ისმენდა, მაგრამ ერთი საუკუნის განმავლობაში მწარე სინამდვილით გულდათუთქული სიამოვნებას ვერ გრძნობდა.

ვულოცავ ყოველ პოლიტიკურ პარტიას და თანაც ვურჩევ ყველას დარწმუნდნენ, რომ იმარჯვებს სიმართლე და არა ფიზიკური ძალა. უწესო მოკლული გაცოცხლდება; ძალით დამარხული აღდგება; ძალაზე დამყარებული მეფობა დაინგრევა; მკლავით და მოხერხებით მოპოვებული ბატონობა დამარცხდება.

ყოველმა წრემ თავის მოძღვრებას საფუძვლათ დაუდვას ქრისტესგან ნაანდერძევი პრინციპები: **პიროვნების დაფასება, საყოველთაო თავისუფლების პატივისცემა.** ნურავის გაადიდგულებს მახვილის ძალა, ნურავის გაიტაცებს პატივმოყვარეობა, ნურავის მოხიბლავს წუთიერი გამარჯვება თორემ სასტიკათ შესცდება, ის დამარცხდება და სიმართლე მაინც აღდგება.

„ქრისტე აღსდგა“ ბევრ რამეს გვეუბნება! თავისუფალი გონებით და წრფელი გულით დაუგდოთ ყური ისტორიას და იქიდან გავიგონებთ გზის მაჩვენებელ მაგალითებს. თუ ღირსეულათ ვიტყვით ამ სიტყვებს, მაშინ ქვეყანა გვიპასუხებს:

„ჭეშმარიტად აღსდგა.“

ტრიფონ ჯაფარიძე.

სააღდგომოდ.

გიყვარდესთ ერთმანეთიო, გვიანდერძა ქრისტემ. და განა სიყვარული კაცობრიობის ზნეობრივ-გონებრივი წინსვლის ერთ-ერთი მიზეზი არ არის?

ერთმანეთის ძულება—მტერია კაცობრიობისა, განმანადგურებელია შემოქმედებისა.

მაგრამ სიყვარული თვინიერ თანასწორობისა—არ არის. კაცს მხოლოდ ის უყვარს, ვინც მას არა სჩაგრავს, მის პიროვნებას არ შეურაცხყოფს, და სიყვარულიდანვე იშობება მეორე ზნეობრივი პრინციპი, პიროვნების პატივისცემა.

პატივ ეც სხვის პიროვნებას, სხვის რწმენასა და აზრს. ეს არის თანამედროვე ზნეობრივი პრინციპი.

გავიხსენოთ საშუალ საუკუნეთა სარწმუნოებრივი სექტების ბრძოლა. ძველმა მართლმადიდებელმა სექტებმა გაანადგურეს წარმართთა სასწავლებლები და წიგნსაცავები. შემდეგ სარწმუნოებრივმა ომებმა აღხოცეს მდიდარი, აყვავებული ქალაქები, თავისუფალი მოაზრენი, ხელოსან-ოსტატები და სხ.

ეგრეთწოდებულმა ინკვიზიციამ აუარებელი თავისუფალი მოაზრე, მეცნიერი, ხელოვანი და ფილოსოფოსი ისხვერპლა.

ბოკლი ამბობს: სარწმუნოებრივ სექტანტებსა და ინკვიზიტორებს ღრმად სწამდათ და სჯეროდათ, რომ მხოლოდ ისინი არა სცდებოდნენ.

დღეს სარწმუნოებრივ სექტათა ადგილი დაიჭირეს პოლიტიკურმა პარტიებმა. თვითეულ მათგანს თავისი თავი უცოდველად მიაჩნია და მოპირდაპირე პარტიათადმი ძულებით არის აღსავსე. აქედან იშობება ერთმანეთის ქიქება, ცილისწამება, გაფთრებული, ულმობელი ბრძოლა და კორიანტელი.

ეს არის უმთავრესად ის მიზეზი, რომელიც ხელს უშლის თანამედროვე კაცობრიობის პროგრესს.

ძულებისაგან არასოდეს არ იშობება სიყვარული; აგრეთვე ცალმხრივი პარტიული განხეთქილება ვერ შექმნის საზოგადოებრივი განვითარების თანშეწევ პირობათ.

პარტიებო! ნუ ემსგავსებით საშუალ საუკუნეთა სარწმუნოებრივ სექტებს! იცოდეთ, რომ ის, ვინც არ აფასებს სხვის აზრსა და რწმენას, მტერია თავისუფლებისა და ხელს უწყობს რეაქციას.

აღიარეთ თავისუფლება სიტყვისა და კრებისა, ვინაიდან თვინიერ ამ აღსარებისა—არ არის თავისუფლება.

აღიარეთ პიროვნების ხელშეუხებლობა! უარჰყავით მუქარა, შეშინება, ცილისწამება, ცემა და სხ. ამგვარი ველურობა!

მოქალაქენო! რევოლიუციის გამარჯვება მოასწავებს თავისუფლებას, მაშ, ნუ მიიღებ იმ უმსგავს პირთ, იმ ბნელ ძალებს, რომელნიც იარაღად ხმარობენ შეშინებას, ცილისწამებასა და უხეშ ძალადობას.

შეიყვარეთ პატიოსნება, პატივ ეცით სხვის პიროვნებას, სხვის სიტყვასა და აზრს.

ნუ აყვებით მოძალადეთ, ნუ შეუზახებთ შეურაცხოფით სიმართლის მთქმელთ, ყველა პარტიის წარმომადგენელთა და მქადაგებელთა სიტყვები მოისმინეთ, აწონეთ, განიხილეთ, განსაჯეთ და შემდეგ დასდევით მსჯავრი. ათჯერ გაზომეთ და ერთხელ გადასჭერით.

ნუ გამოაცხადებთ თავს ნურცერთი პარტიის მომხრეებად, ვიდრე კარგად არ გასცნობიხართ თვითეულის პროგრამას. მოსთხოვეთ განმამარტებელნი და ამხსნელნი ყველა პარტიის და ნუ დაემორჩილებით მას, ვისაცა სწადია ძალით, ცბიერობით, შეპარვით მიგაღებინოსთ თავისი მოძღვრება და გეუბნებათ: მარტო მე და ჩემს ამხანაგებს დაგვიგდეთ ყური, სხვა პარტიების წარმომადგენელთ არ მოუსმინოთო.

სიმართლის დაფარვა არ შეიძლება ერთი კარი რომ დაუხშო, მეორე კარიდან შემოიჭრება და ადრე თუ გვიან გზას გაიკვლევს. და სხვისი სიტყვის არ მოსმენა კი მოასწავებს—სიმართლის გაგების არ მწადნელობას.

მაშ უარყავით ყველაფერი, რაც აზრის თავისუფლებასა ბორკავს, განათავისუფლეთ თავი პარტიული ძალადობისაგან და შეიყვარეთ თავისუფლება. მხოლოდ მაშინ აღასრულებთ ქრისტეს მცნებას.

ვასილ წერეთელი.

ჩვენც შევიგნოთ.

ის, რაც სხვაგან კარგი ხანია მიღებული არის და ჭეშმარიტებადაც აღიარებული, ჩვენში მიუღებელია და სადაოთ ითვლება. იმ სინათლეს, რომლისათვისაც სხვაგან სისხლს ღვრიან და სიცოცხლეს ესალმებიან, ჩვენში ებრძვიან სასტიკად, შეუბრალებლად მოსავენ ბნელი ბურუსით, შიშობენ მის გამოჩენას და ქვეყნისათვის ჩვენებას. მე მოგახსენებთ ეროვნებათა თავისუფლებაზე, რომლის დროშის ქვეშაც დაიწყეს ეს უმაგალითო ომი, კვლავაც მისივე სახელით არწმუნებენ ხალხს, რომ ეს ომი ამ თავისუფლების მოპოვებისთვის უნდა სწარმოებდეს და ნიშნებიც ისეთია დღევანდელ პირობებში, რომ აუცილებლათ ეს პრინციპი უნდა ედვას მას სარჩულად. ასე გასინჯეთ, ეცილებიან კიდეც მოწინააღმდეგე სახელმწიფონი ერთი მეორეს, არა მე, უფრო მედგრად ვიცავ და ვადგივარ ამ პრინციპს და არა მეო. გულწრფელია ეს მეტოქეობა თუ არა, ეს სულ ერთია, ხოლო ფაქტი ის არის, რომ ეს ასეა მართლაც ის, ვინც სავსებით გაამართლებს ომის დროშაზე დაწერილ ლოზუნგს: „გაუმარჯოს ერების დათრგუნვილ უფლებათა აღდგენას“-ო, მისკენ იქნება ჩვენი და მთელი კაცობრიობისაცა და მაშასადამე ომიდან გამარჯვებით გამოსვლაც. ამაში ნათლად დარწმუნდნენ მებრძოლი მხარეები და ერთი მეორესაც ასწრებენ ამ ლოზუნგების განხორციელებას. აღადგინეს პოლონეთი, ფინეთი, ლიტვა; აღდგენას უპირობენ უკრაინას, ესტლანდიას, ჰაისტანს და სხვათ. ზოგადი პრინციპი ჩვენსკენაც გადმოისროლეს, მაგრამ უკანასკნელი დეპეშების მიხედვით თარსი კაცივით ემურებათ მრავალწამებული ქართული ეკლესიის ერთიცახე ავტოკეფალიაც კი, ავტონომიაზე ლაპარაკს თავიც რომ მივანებოთ. მაგრამ სხვებზე რა გვეთქმის, როდესაც ბრალი ამაში თვით ჩვენვე გვიდევს. ციხე შიგნიდან სტყდება და სანამდი ჯერ არ გატეხილა, ზომები მივიღოთ საწინააღმდეგოთ. შეიძლება იკითხოთ, თუ რა არის ამის მიზეზი? უსათუოდ ის, რომ ჩვენში არ არის გაღრმავებული **სულიერი კულტურა,** ის, რომ ყველაფერზე გადამახინჯებული და ტენდენციოზური წარმოდგენა აქვსთ და არც სცდილობენ მახინჯის განკურნებას.

არ დავიჯერებ, თითქოს რომელიმე ქართველს სურდეს თავისი სამშობლოს აყვავება და განთავისუფლება. არ დავიჯერებ, რომ ჩვენში მოიპოებოდეს ისეთი ქართველი, რომელიც აწ უკვე დამსხვრეულ ჯაჭვების გამთელებას ლამობდეს და განთავისუფლებული ამირანის ხელახლავ მიბორკვას ესწრაფვოდეს. არ დავიჯერებ, არა, იმიტომ არა, რომ ქართველი, როგორც ყოველი ერის შვილი, პატრიოტია, მოყვარული მრავალ ტანჯული თავისი სამშობლოსა. მას შეუძლია, რომელ პარტიასაც გინდა ეკუთვნოდეს, მაგრამ მასვე არ შეუძლია მშობელი დედის, საქართველოს ცხარე ცრემლის აღმაცერად, გულცივად შეჰყუროს. ეს ასეც არის ყველგან, ჩვენშიც, ხოლო განსხვავება ჩვენსა და სხვათა შორის ის არის, რომ სხვებს ჯერ სამშობლო, მშობელი ერი ახსოვთ და შემდეგ კი პარტიაც, კაცობრიობაც. ჩვენშიც ასე ფიქრობს ასე გრძნობს ყოველი ქართველი, ხოლო სიჯიუტე თუ ყველაფრის უკუღმართად გაგება, მას უკუღმართადვე და უნაყოფოთ ახარჯებს საქართველოსთვის ეგრე ძვირფას ენერგიის თვისი შვილებისას. მეორე მიზეზიც, ჩვენის ასეთის მდგომარეობისა არის ჩვენი ქართული ფსიქიკა. როგორც მოგეხსენებათ, ქართველის ქართველისთანა თავგამოდებული და თავგანწირული მებრძოლი რომელიმე იდეისა თუ მიმართულებისა იშვიათად რომელიმე ერში მოიპოებოდეს. მას იტაცებს ეს იდეა და მოჩუხჩუხე მდუღარე, გახურებულ გრძნობათ აქცევს, რომელიც გარემოებასაც ჩრდილავს, ჰფარავს გონების საღ მიმდინარეობას. თანდათანობით გრძნობით მოპოებულ რწმენად იქცევა და მისი გულიდან, აწ უკვე ტვინიდან ამოფხვრა მეტად საძნელო საქმეა. ეს კი მეტად მავნებელია საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის, რადგანაც უკიდურესობას ყველაფერი უფსკრულამდე მიჰყავს, ხოლო ზომიერებას, გონებას, გამჭრიახობის გრძნობასთან ჰარმონიულად შეზავებას მიზნის აღსრულებამდის. უკიდურეს შემთხვევაში ვერავითარი მუშაობა ვერ გამოიღებს ნაყოფს. ცნობილი რუსის კრიტიკოსის დ. პისარევის თქმის არ იყოს სიტყვები და ილუზიები ილუპებიან, ხოლო ფაქტები რჩებიან“-ო, ჩვენც უნდა მუდამ ჟამს გვახსოვდეს, რომ არის კონკრეტიული საქართველო და მას ჰყავს ღვიძლი შვილი თავისი—ქართველობა. ეს ფაქტია, სულდგმული არსება და დედა შვილს კი საზრდო უნდათ, საზრდო არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერიც. ყველგან შეგნებული აქვთ რომ ეროვნება ისეთი ინდივიდუალური არსი არის, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კაცობრიობის არსებობა, ვინაიდან ის თვით ცხოვრების სიღრმეშია ჩანერგილი და ამიტომ დაუფასებელია ეროვნების სასარგებლო ისტორიული ქმნილების სიძლიერე—როგორც კაცთა შორის ძმობა ერთობის დამყარება არ არის ადამიანის ინდივიდუალობის გამაქარწყლებელი (პირიქით, ის არის სრული დასადასტურებელი პიროვნების ხელუხლებლობისა), აგრეთვე არ არის ეროვნული პიროვნება, ინდივიდუალობა უარმყოფელი კაცთ მოყვარეობისა.

ჩვენში კი ყველაფერი უკუღმართად ესმით. არავის უნდა დაავიწყდეს ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ განმათავისუფლებელი, შემაერთებელი ეროვნული (**ნაციონალური**) მოძრაობა დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ნაციონალისტურ მისწრაფებათ. უკანასკნელი ეჭვს გარეშეა, სხვა ეროვნებათა დამოუკიდებლობისა და მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული. საკმარისია მოვიგონოთ ეროვნული (**ნაციონალური**) მოძრაობანი მსოფლიო ისტორიაში, რომ ნათლად დაგვეხატოს თვალწინ მათი სავსებით პროგრესიული მოვლენათ აღიარება. და ასეც იყო და არის, ასეც იქნება მუდამ, სანამ წარმოსადგენია კაცო-

ბრიობის არსებობა. ეგევე არ ითქმის, იმავე ისტორიის გადახედვით, ისეთ მოძრაობაზე თუ მიმართულებაზე, რომელთაც **ნაციონალისტური** სულისკვეთება ამოძრავებდათ. მეცნიერებაშიდაც და ისტორიაშიდაც დაკანონებულია, რომ რამოდენათაც **ნაციონალური** მოძრაობა პროგრესიულია, იმდენათვე **ნაციონალისტური** მოძრაობა არის რეგრესიული, ვიტყვით მეტს—რეაქციონური. ამიტომ არის, რომ მებატონე ერის ნაციონალიზმი დაიგმობის, ხოლო დაჩაგრულისა კი გაიმართლების ყოველ მხრივ.

ეს ყოველ კულტურისან ერებში შეგნებული აქვთ და არც ეწინააღმდეგებიან ამიტომ ნაციონალურ, ეროვნულ მოძრაობის გაღრმავება—გაფართოებას.

საუბედუროთ ჩვენა ვართ გამონაკლისი და ჩვენში **ეროვნულ ნაციონალურ** მოძრაობას ებრძვიან და ძირს უთხრიან ყოველივე საშუალებით. ნათლავენ მას მასის მოსატყუებლად ანტი დემოკრატიულ ნაციონალისტურ მოვლენათ. თუ რათ სჩადიან ამას ეს ყველამ იცის, ვინც ჩვენ ყველა მიმართულებების ორგანოებს თვალ-ყურს ადევნებდა და არ კვებავდა თავის ტვინს წლობითა და ათი წლობით მარტო ერთი მიმართულების გაზეთით. მაგრამ ეხლა, როდესაც ცხოველ-მყოფელმა მზემ შუქი მოჰფინა წარსულ ვერაგობასა და ცხოვრების სიდუხჭირეს, როდესაც ცხოვრების გამოცოცხლებამ და იმედის მომგვრელმა რევოლიუციამ, რომლის მიზანიც არის ძველი დაანგრიოს და მის ნანგრევებზე ახალი ააშენოს, დაამხო ძველ-წესწყობილებასთან ერთად ძველი დახავსებული აზროვნებაც, უნდა სამუდამოთ აღმოიფხვრას და განფანტოს ტვინისა და აზროვნების სიბნელეც და ყველასათვის მისაღები გახადოს ის აზრი, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერა ჰქმნის. როდესაც ერთს სხვა მრავალი მოჰყვება მაშინ დადგება კიდეც სანეტარო გაზაფხული. გაზაფხულს, ზაფხული უნდა მოჰყვეს და ეს კი მაშინ მოხდება როდესაც თავისუფლება არ იქნება კუთვნილება რომელიმე ერთი მიმართულებისა, არამედ ყველანი შეხმატკბილებულად, ძმურად იმოქმედებენ, როდესაც ერი აღსდგება მკვდრეთით და მიძინებულ, აწ თითქმის გამოღვიძებულ გრძნობებს კვლავაც არ დაასამარებს.

ნორჩმა კუკურმა ამოჰყო ზამთრის მიწურულში თავი და მივსცეთ მასაც ისეთივე თავისუფლება ზრდისა და განმტკიცებისა, რომელიც გაჰფურჩქნის მას მშვენიერ ყვავილად და დაამშვენებს საკაცობრიო ბაღს. ყვავილი ერია; ბაღი-კაცობრიობაა. თუ ყვავილმა არ იარსება, ბაღს ბაღი აღარ დაერქმის. თუ ერი არ იარსებებს, ვერც კაცობრიობა გაიხარებს. ამიტომ ჩვენ უნდა ერის აღდგომას ვემსახურებოდეთ. თუ თავისუფლება ერთ რომელიმე ერს მიეცემა, ჩვენც გვაქვს, თუ მეტი არა (1783 წლის თამასუქი), ნაკლები მაინც არასოდეს, უფლება ამისა. აქეთკენ უნდა მივისწრაფოდეთ ამას უნდა ვემსახუროთ ყოველმა ქართველმა, თვარა სხვა უახლოესი, მომენტის შესაფერისი მიზანი ჩვენ არა გვაქვს.

მაშ გაუმარჯოს თავისუფალ ერებს და გაუმარჯოს თავისუფალ ქართველებსაც თავისუფალ რუსებთან.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში.

შევიგნოთ ეს და ვიცოცხლოთ!

ან ხანი.

საერთო პლატფორმა!

კავკასიის მაღალ მყინვარზე მდგარმა რომ გადავხედოთ მთელს ევროპიულ რუსეთს, საუცხოო სურათი გადაგვეშლება თვალ წინ: ბალტიის ზღვიდან მოკიდებული ურალის მთაგრეხილამდე აფართოვანებული ულოცავენ ერთი მეორეს პატარა ერები ბრწყინვალე დღესასწაულს, ეროვნულ სულის აღდგომას. გავაქცოთ მთელი vite fase სამხრეთისაკენ და საქართველო გადიშლება ჩვენს თვალწინ მგლოვიარე შავბნელ ძაძებში შემოსილი, ტუსაღათ ქმნილი და ნაღვლიანი.

არას დროს საქართველოს არ დასდგომია ისეთი მძიმე, ყოფნა არყოფნის გადამწყვეტი მომენტი როგორც ეხლა: სულ ჩუმათ მზადდება სომხეთის ავტონომია, წყდება საკითხი ბორჩალოს მაზრის, რომელიც ეკონომიურად მასაზრდოებელია ქართლისა და ერთად ერთი დამცველია აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობისა; თუ ბორჩალოს მაზრა დაეკარგება გეოგრაფიული ურთიერთ მდგომარეობის გამო მოგვწყდა, დაიკარგა ახალციხის მხარეც! არ ვიცით, ბურუსში ვართ გახვეული სიღნაღის მაზრისა გამო, განსაცდელშია თვით თფილისი, დედა ქალაქი სრულიათ საქართველოსი. ეს ცოტა! შავი ზღვისკენმდებარე ქვეყნებს არდაგან—არდანუჩ—ბათომსა, და ჰანეთს—გვეცილებიან. თუ ზღვას მოვწყდით და არ გვექნა ფართო ღია კარები შავი ზღვით, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთით შემოგვიარეს, საქართველოსაგან დარჩება მხოლოდღა იმერეთი. მთელი ეს მხარე ორიოდ ათეულ წლებში გადიქცევა სხვათა ვაჭრობისა და ბატონობის სფეროდ მაშინ მთელი თქვენი ავტონომია ფუჭე სიტყვა, უშინაარსო მცნება, ქაღალდის ნაფლეთიღა იქნება ჩვენთვის! აი. ამ განწირულების ჟამს, როდესაც ჩვენს გლეხს ეკონომიური და პოლიტიკური მონობა მოელის თავისუფლების სამოსელში, როდესაც საჭიროა ყველაზე უწინ ყველა ჩვენ საზოგადოებრივ მიმართულებათა გაერთიანება, გამაერთებელი საერთო პლატფორმა ვერ მოგვინახავს! ეროვნული სული ნაკლებად არის ძლიერი ჩვენში, რომ საბოლოოდ დასძლიოს ყოველი სხვა წვრილმანი ჯგუფური მისწრაფება. უმთავრესი ელემენტი საერთო პლატფორმისა უნდა იქნეს ეროვნულ უფლებათა საბოლოოდ აღსარება ყველა პარტიების მიერ. მომავალი ავტონომია თავისი გეოგრაფიული მოხაზულობით უზრუნველ ყოფილი უნდა იქნეს მუდმივს, გაჰიანურებულისა და დაუსრულებელი კონფლიქტებისაგან. მას თავისი ბუნებრივი საზღვრები უნდა ექნეს 1783 ტრაქტატის პირობებთა მიხედვით. ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ გვსურს გვექნეს არა მკვდრად შობილი თავისუფლება, არამედ უზრუნველყოფილი შევიწროებისაგან მჭიდრო ზღუდენი საქართველოს ავტონომიისა. მეორე მთავარი ელემენტი საერთო პლატფორმისა უნდა იქნეს უარყოფა, მოსპობა პარტიული ბატონობისა. თუ რომელიმე პარტია ბატონობს ჩვენში ისე, რომ ყოველ ნაბიჯზე სარგებლობს თავისი ბატონობით სხვა პარტიათა წინააღმდეგ, რასაკვირველია, სხვა პარტიათ ესპობათ საშუალება თავისუფალი აგიტაციისა, ე. ი. პარტიული მუშაობისა. ამ გარემოებით სავსებით ისარგებლებს გაბატონებული პარტია **დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანიისათვის** გაბატონებული ჯგუფი, მაშასადამე, გაიმარჯვებს. ეს კი თავის დღეში არ ჩაითვლება ნორმალურ და სამართლიან კანონიერ მოვლენად! დამფუძნებელ კრებას არ ექნება საშუალება გაიგოს, ნათელი წარმოდგენა იქონიოს ჩვენი პოლიტიკური სულის კვეთების, საჭიროების შესახებ. ეს ორი ელემენტი მიუცილებელი პირობაა საერთო პლატფორმისა, იმ პლატფორმისა, რომლის გამომუშავების დაყოვნება უდიდესი დანაშაული, მიუტევებელი ცოდვა იქნება ჩვენი ერისა და ისტორიის წინაშე. სრული თავისუფლება მაშინ არის განძი და ძვირფასი საქონელი, როცა ის ყველა საზოგადოებრივთა და პოლიტიკურ მიმართულებათა საერთო კუთვნილებაა და არა რომელიმე ერთი ჯგუფის პრეროგატივა. თავისუფლების მოყვარული მიმართულება არც იკადრებს და ვერც გაბედავს გადააქციოს თავისუფლება ტყვეთქმნილ არსებად: ამით ის მხოლოდ თავის მომავალს ავნებს. ჩვენი მამულიშვილის მოვალეობაა მეტი სიფხიზლე, მეტი თავგამეტება და გამბედაობა გამოიჩინონ სამშობლოსათვის ამ საბედისწერო წუთებში. ნათლად შევიგრძნოთ, ღრმად გავიცადოთ, თუ რა განსაცდელშია დღეს ჩვენი ეროვნული სხეული. პირდაპირ შევხედოთ სინამდვილეს და იქიდან ამოვიკითხავთ მამულიშვილთა სამოქმედო გეგმას. ჩვენ ხომ იმაზე მეტს არას ვთხოულობთ, რაც ფინებს, უკრაინელებს, ლატიშებსა და სხვ. ერგუნათ. ამისათვის მზად უნდა ვიქნეთ, ყოველი მსხვერპლი შევწიროთ ჩვენი იდეისათვის, უკან დახევა დარჩობა იქნება, ეს იდეის ღალატი იქნება!

მედგარი.

ახალი მთავრობა

პეტროგრადი 29 მარტს. მუშათა და სალდათთა საბჭოების დელეგატების ყრილობამ დაადგინა: რუსეთის დემოკრატია ხედავს დროებითი მთავრობის მთელ გადადგმულ ნაბიჯში დემოკრატიული პრინციპების განხორციელების საწინდარს და მთელის თავისი ენერგიით მხარს დაუჭერს დროებით მთავრობის განზრახვას, რომ მოწოდებულ იქმნენ მოკავშირეთა და მეომარ სახელმწიფოთა ხალხნი, რომ ხელი აალებინონ თავის მთავრობებს დაპყრობით პოლიტიკაზე და კონტრიბუციის გადახდევინებაზე. თავისი მხრით ხსენებული საბჭოები ალიარებენ დროებითი მთავრობასა და მოკავშირეთა შორის მოლაპარაკებასა და შეთანხმების აუცილებლობას. რევოლიუციონური რუსეთი ეცდება დაჩქაროს ზავი, რომელსაც სარჩულად ექნება დადებული ძმობა თანასწორობა და თავისუფალ ხალხთა. ყველა ქვეყნის მთავრობათა მიერ ოფიციალურად უარყოფა დაპყრობითი პოლიტიკისა—უძლიერესი საშუალებაა ომის დაბოლოებისა. ვიდრე ეს პირობები არ ასრულებულა, რუსეთის დემოკრატია ალიარებს, რომ ფრონტის დამარცხება და მისი ძალის დამხობა—საშიშარი იქნებოდა თავისუფლებისათვის, და რევოლიუციონური რუსეთის უზრუნველყოფისაგან გარეშე საფრთხისაგან, და რომ რევოლიუციის შემაფერხებელ მიზეზებს ხელი შეუშალოთ, საბჭოთა დელეგატების ყრილობა მოუწოდებს რუსეთის დემოკრატიას შეკრიბოს მთელი თავისი ცოცხალი ძალა სახალხო ცხოვრების ყველა დარგში ფრონტის გასაღონიერებლად.

სადღესო.

ცხოვრება შეუჩერებლად განახლებისკენ ისწრაფვის. ადამიანს აწმყო არ აკმაყოფილებს, იგი ნეტარებას, სასურველ ყოფის დამკვიდრებას მომავალში სჭვრეტს. კაცობრიობას განახლებისთვის უამრავი მსხვერპლი გაუღია. ხშირად, რომელიმე ერის მიერ მოპოვებულ კეთილდღეობისთვის ზღვა სისხლი დაღვრილა...

მაგრამ ერს, თუ ხალხს უცრემლოდ გადუტანია ისეთი მსხვერპლი, რომელსაც, მისთვის განახლება, თავისუფლება გამოუჭედია... მაგვარ ნაყოფის მომტან მსხვერპლის შემდეგ კაცობრიობა მუდამ ხარობს და ახალ ცხოვრებას ეძლევა... სწორედ ასეთია დღევანდელი დღე რუსეთის და მის შემადგენელ ერთათვის. სრულიად რუსეთის ხალხს თავისუფლების მოსაპოებლად არა ერთხელ და ორჯელ გაუბრძოლია მაგრამ დღემდის იგი ყოველთვის გულდაწყვეტილი და თავის წმიდა სწრაფვათა საკუთარ გულში ჩამკვლელთ რჩებოდა. მაგრამ დღე ბედნიერებისა დღე აღდგომითი რუსეთისა გათენდა... 34 დღის წინად ხალხის რისხვამ დაამხო მონებაზე აგებული დესპოტიზმი. ამ ჟამად ხალხი ბორკილებს აღარ გრძნობს, მის სულში აწ ტირანია ვერ იფათურებს... სიხარული საერთო და უსაზღვროა. რუსეთის ერმა რასაც საჭიროებდა იგი სავსებით დაიმკვიდრა... მაგრამ, რუსეთი არ ეკუთვნის მხოლოდ რუსებს. მის სახელმწიფურ შემადგენლობაში ბევრი სხვა ეროვნება შედის. დღემდი ამ ეროვნებათა ცხოვრება სრული მონური იყო მათ პირში ავანგარდით იყენებდენ მხოლოდ ლხინში გერებად სთვლიდენ... დღეს კი განახლებული რუსეთი ვალდებულია ეროვნული დაკმაყოფილება მისცეს ყველა წამებულს, რადგან რუსეთის თავისუფლება, თუ რევოლიუციამ თანასწორად შექმნა დამონებულმა ერებმაც. დღევანდელ თავისუფლებას ვერავინ მიისაკუთრებს, იგი საერთოა საერთო ძალით გამოკვეთილი. არსებულ თავისუფლებაში არც ერთ კლასს არ ეკუთვნის უპირატესობა და პირველობა და თუ ასეთს ისურვებენ, ეს იგივე ძველი უსამართლობის გამეფება იქნება. შევფიცოთ ერთმანეთს, რომ დღევანდელ ძვირფას დღეს ნურავის დავსტოვებთ გულ დაწყვეტილს, ერსაც უნდა ჰქონდეს ეს სანუკვარი თავისუფლება. მისი მრავალ ნაირად დასერილი და ატკივნებული სხეული მხოლოდ თავისუფლების დროს ჰპოებს განკურნებას, აყვავებას და აღდგომას.

სრულიად ქართველი ერი დღეს სრულის შეგნებით უნდა ითხოვდეს აწ უკვე დამხობილ ტირანის მიერ უღიერად ფეხქვეშ გათელილ ეროვნულ უფლებათა აღდგენას... პირველ წამს საერთო თავისუფლების მოსაპოებლად ყველამ მივიტანეთ აგური, ქართველი ვაჟკაცები არა ერთი და ორი იმსხვერპლა პეტროგრადის ქუჩებში მონავარდე ძველი რეჟიმის მომხრეთა ჯავშნიანმა ავტომობილებმა... ქართველი გმირები ამშვენებენ რუსეთის ყველა ბრძოლის ასპარეზს, ამიტომ ჩვენც, როგორც ქართველი ერი დაბეჯითებით უნდა მოვითხოვდეთ ჩვენი ცხოვრების უფლებათა საკუთარ ხელში გადმოსვლას. როცა ამ უფლებებით შევიმოსებით, მაშინ დავადგებით ნამდვილი პროგრესისა და აღორძინების გზაზე.

განთავისუფლებულმა რუსეთის ხალხმა და რევოლიუციურმა მთავრობამ ამაზე ვერ უნდა გაგვაწბილოს. რუსეთის წინაშე გარდა იმისა, რომ ჩვენ დიდი ღვაწლი მიგვიძღვის აგრეთვე გვაქვს ის უკვდავი 783 წლის ხელშეკრულება რომელიც ღაღადებს ჩვენს ფართე უფლებიანობას...

ქართველებო ყველა სარწმუნოებისავ! ისრაელებო, მაჰმადიანებო, კათოლიკებო, გრიგორიანებო, და ქრისტიანებო ავღმართოთ საქართველოს თავისუფლების დროშა... განვაახლოთ შეჩერებული ქართული ისტორია... შევსდგეთ შემოქმედების გზაზე... კვლავ პატივის ცემაში შევიყვანოთ ენა უკვდავი შოთასი...

აი მაშინ გაუთენდება ქართველ ერს აღდგომა...

ქართველო ქალო!

შენც აღსდექ აკვანში მწოლარეს კვლავ ეროვნული ჰიმნი ასმინე.

და ქვეყანას თავდამდები გმირი აღუზარდე...

ქართველო მშრომელო ხალხო! მედგრად აუწყე ყველას შენი ხმა, რომ შენ ხანგრძლივ მონობაში სამშობლო არ დაგვიწყებია და მის განთავისუფლებას მოითხოვ... თავისუფალ სამშობლოში მეტად კარგად მოეწყობა შენი ცხოვრება, არავინ გეყოლება მჩაგრავი და მყვლეფავი... ქართველო სამღვდელოებავ! შენ უკვე მოესწარ ერთ, სანეტარო დღეთაგანს, საქართველოს ეკლესია დღეს თავისუფალია... მკვეთაში ჩამქრალი ეროვნული კანდელი კვლავ აინთო... თავისუფალო მოძღვრებო! გადი ხალხში, დაეხმარე მას თავის სატკივრებში და მოუწოდე ეროვნულ თავისუფლების მოსაპოებლად... ქართველო მხედრებო და ჯარისკაცნო, გულწრფელი სალამი განახლების გზაზე მდგომ სამშობლოს... თქვენი თანამხანაგნი ბევრი დაეცა ცხრა მთათ გადაღმა დაუტირებლად. ტვირთი მოვალეობა თქვენი მეტად საძნელო და მძიმე იყო და არის, მაგრამ თქვენ მას ყოველთვის სასახელოდ ასრულებდით... თქვენ სათანადო წილი გიდევთ არსებულ საერთო თავისუფლების წარმოშობის საქმეში... მთელი რუსეთი მით უკვე სულდგმულობს... იგივე თავისუფლება ეპირვება თქვენს 117 წ. განმავლობაში ბორკილებში მყოფ დედა საქართველოს... მაშ, როგორც გარეშე მტერთან ბრძოლაში მედგრად ისმოდა თქვენი ხმა და ყიჟინი, დაე იგივე ძლიერი ხმა გაისმას საქართველოს თავისუფლების მოპოებისთვისაც...

აღდგომა ჩვენი მაშინ იქნება... იესო ხომ ჰგმობდა უსამართლობას, ვისიმეს დამცირებას? დაჩაგვრას? მაშ სრულიად ბორკილ ახდილნი შევხვდეთ მის გამარჯვებას.

გაუმარჯოს საერთო სიყვარულს, რომელ სიყვარულთან ერთად დავიწყებული არ იქნება ჩვენი პატარა საქართველოც... გაუმარჯოს სამართლიანობას... ძირს უსამართლობა, თუ კი იგი კიდევ სადმე დარჩენილა... გაუმარჯოს განახლებულ თავისუფალ რუსეთს, გაუმარჯოს თავისუფალ ჰნტარ- საქართველოს... თავისუფალ რუსეთში.

მკითხველო საქართველო მკვდრეთით უკვე სდგება... შენ უსათუოდ მეტყვი ჭეშმარიტადო.! დაე, ამ დიადმა სიტყვებმა აღაფრთოვანოს დღეს ყველა სარწმუნოებისა, მდგომარეობისა და მიმართულების ქართველები!...

ი. იმერელი.

მაშინ იქნება ჩვენი აღდგომა!.

1916 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც კაცობრიობას მოევლინა უდიდესი ადამიანი—იესო ნაზარეველი, რომელმაც აღიმაღლა ხმა ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ და მოუწოდა ხალხს ძმობა ერთობისაკენ ..

მაშინდელმა ხალხმა ვერ იცნო ნაზარეველი, ეს განხორციელებული სიმართლე, ვერ იცნო ქვეყნათ მოვლინებული ჭეშმარიტი ნათელი და „ძლიერთა" შთაგონებით „მართალი უსამართლოდ დასტანჯა"... დასტანჯა, მაგრამ ვერ გააქრო კი ის ჭეშმარიტება, რომელიც მოიტანა ქვეყნად ნაზარეველმა. მისმა ჭეშმარიტმა სიტყვამ ნაყოფი გამოიღო. ამ ნაყოფმა მიიზიდა თავისკენ ერები, სახელმწიფოები და სრულ ჭეშმარიტებას ალიარებენ ქრისტ[illegible] დღეს მიმართავენ ერთი მეორეს დიდათ დამაფიქრებელი სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა"..

დღევანდელი ქრისტეს აღდგომის დღესაც წასული თვალწინ ნათლად გვიშლის იმ ხალხის სიბრმავეს, რომელმაც ჯვარს აცვა „იესო ტკბილი". ეს დღე გვაგონებს იმ საზოგადოებას, რომელმაც „ბ[illegible]ტისაგან კეთილი შურით ვერ გაარჩია" და ვერ იცნო თავისი „მაცხოვნებელი"..

დღევანდელი დღე მიტომ უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ ის თვალწინ მიშლის ჩემი მშობელი ერის უნუგეშო მდგომარეობას, იმ ერისას, რომლისთვისაც ქვეყნის სიბრმავემ, როგორც ნაზარეველს, სრულიად დაუმსახურებლად დაადგა თავს ეკლის გვირგვინი და ხელში მისცა წამების ჯვარი..

მე კაცობრიობის ისტორიაში ვერ მიპოვნია მეორე ხალხი, რომლის ისტორიული ცხოვრების უდიდესი ნაწილი იმგვარ სულის და გულის მომწამვლელ სურათს წარმოადგენდეს, როგორსაც გვისახავს ხანგრძლივი ცხოვრება ქართველი ერისა.

ბევრი შავი ხანა უნახავს და განუცდია ქართველ ერს თავის მრავალ საუკუნეთა არსებობის ხანაში. მაგრამ მას—ქართველ ერს—უდიდესი გაჭირვების დროსაც გამოუჩენია სიცოცხლის უნარი და მე-19 საუკუნის კარებამდე შეუბღალავად მოუტანია თავისი ენა, რჯული, დამოუკიდებლობა. ვაჟკაცურად და მხნედ უძლევია პასუხი ამ ერს, მიუხედავად თავისი სიმცირისა, მტრებისათვის, რომლების მსუნაგ მისწრაფებას და არა ადამიანურ მოქმედებას არ ქონია საზღვარი.

ყველაფერს აქვს დასასრული!.

ქართველი ერი დაიღალა საუკუნოების განმავლობაში უთანასწორო ბრძოლით და მან დაღლილ-დაქანცულმა 1801 წ. თავი შეაფარა ერთმორწმუნე ერს, უფრო სიმართლე რომ ითქვას, ერთმორწმუნე ერის მთავრობას.

1801 წ. იწყება ახალი ხანა ჩვენი ერის ცხოვრებაში.. ეს იყო ხანა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბედკა-მტვრევის, ქართველი ხალხის პოლიტიკურად სიკვდილის, ქონებრივად და გონებრივად ჩამოქვეითების, ხანა საშიშარ კლანჭებში ფხარკალის.

116 წელიწადია, რაც ძველი რუსეთის ბატონ-პატრონნი ფეხქვეშ ურცხვად თელავდენ ჩვენი ერის კანონიერ უფლებებს.

116 წელიწადია, რაც ძველი რუსეთის სათავეში მყოფი ბნელი ძალები, რომლებმაც არ დაინდვეს თავისი სამშობლოც კი ამ უმაგალითო ომის დროსაც, მაცადინობდენ შეებღალათ ჩვენი თავმოყვარეობა, სარწმუნოება, ზნეობა, ენა და ყველა ის, რაც ერის წმიდათაწმიდას შეადგენს და კიდევაც მიაღწიეს მიზანს.

116 წელ., რაც ქართველი ერი გმინავს საშიშარ მაჯლაჯუნას კლანჭებში.

116 წელიწადია, რაც ერის საუკეთესო შვილები, ძველი რეჟიმით შეწუხებულები, გაიძახიან: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს". ან „თვალს მიხვევენ, ენას ჰკვეთენ"-ო, ან და კიდევ „სანამ ჩემი საყვარელი ქაჯებსა ყავთ ცხრა კლიტულში რა მალირსებს სასუფეველს ჯოჯოხეთი მიძევს გულშიაო".

ჩვენი ტანჯული ერის საუკეთესო შვილები 116 წლ. განმავლობაში ცდილობდენ მშობელი ერის სალათას ძილისაგან გამორკვევას, ამ ერის თვითშეგნობიერების გაღვიძებას.. ელოდენ მოუთმენლად ერის აღდგომას და ამ აღდგომის ლოდინში დალიეს თავიანთი მწარე სიცოცხლე...

ჩვენი ერის საუკეთესო შვილები ელოდენ დღევანდელ დღეს, ელოდენ მთელი თავისი ადამიანური სულითა და გულით..

დღეს დიდებული წუთია ჩვენ ცხოვრებაში.

დღეს ძველი რუსეთის ადგილას ახალი რუსეთია. მტარვალი წაიქცა. ის ჩარდება სამარეს და რუსეთის ხალხისა და რუსეთში მყოფ ერების შეთანხმებული მოქმედებაზეა დამოკიდებული მტარვალის სამუდამო დასამარება, რის შემდეგაც რუსის ხალხს საქვეყნოდ შეუძლია დაიძახოს „რუსეთი აღსდგაო"..

ჩვენ ქართველები?

არასოდეს არ ვყოფილვართ ამგვარ საშიშ მდგომარეობაში, როგორც დღეს, არასოდეს არ ვეგრძნია „ყოფნა არ ყოფნის" საკითხი, ჩვენ ქართველებს, როგორც დღეს.

სიცოცხლე ან სიკვდილი.. ყოფნა არ ყოფნა!. აი კითხვა, რასაც თვალწინ გვიყენებს გადასაჭრელად დღევანდელი მომენტი. ქართველებო, უნდა ვიცოცხლოთ!.. რას მიქვია სიკვდილი.. უნდა ვიყოთ რას მიქვია არ ყოფნა!..

იმ ერს, რომელსაც უცხოვრია საუკუნეების განმავლობაში, ქონია დიდებული წარსული, შეუქმნია მწერლობა, სიტყვა კაზმული ლიტერატურა, ბედვამტერევის ხანებშიაც კი წარმოუშვია მსოფლიო გენიოსები. იმ, ვიმეორებ, ერს უფლება აქვს იცოცხლოს და შეიტანოს თავისი წვლილი კაცობრიობის წინსვლის საქმეში ამ აზრის იყვენ და არიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები.

ჩვენი ერის ფეხქვეშ გათელილი უფლების აღდგენა—აი რას თხოულობს დღეს ქართველი ერისაგან დიდი რუსეთის რევოლიუცია. განგებ უნდა მოიგონოს სიბრმავე ადამიანმა რომ ეს ჭეშმარიტება ვერ იცნოს, ვერ დაინახოს..

ქართველებო, ვინც გადაგვარების გზაზედ არ დამდგარხართ, ვისაც გესმისთ რა არის სამშობლო და მისი სამსახური; ვისაც გესმისთ რა არის მშობელი დედა და მისი ძუძუები, ვისაც გესმისთ განაწამები სამშობლოს კვნესა-გმინვა—აღიმაღლეთ ხმა, შეერთდით და მოითხოვეთ ის, რაც წაგვართვეს, რაც ჩვენი სიცოცხლისა და წინსვლისათვის, რაც ჩვენი სამშობლოს შებღალული თავმოყვარეობის აღდგენისათვის უსაჭიროესია. ვინც ამას მოიმოქმედებს, ის უუდიდეს დანაშაულს ჩაიდენს მომავლის წინაშე და სამარცხვინო მოღალატის ბოძზე გააკრავს თავის თავს.

მაშ შევერთდეთ ყველა განურჩევლად სქესისა, წოდებისა და მიმართულებისა, ვიზნათ დავიხსნათ ჩვენი კანონიერი უფლების აღდგენა.

თუ გვინდა ნორმალური სიცოცხლე ჩვენ ქართველებმა უნდა მივიღოთ ის, რაც წაგვართვეს, რაც ჩვენი ზნეობრივი, სარწმუნოებრივი, გონებრივი და ქონებრივი წინსვლა-განვითარებისათვის უსაჭიროესია. მაშინ იქნება დღესასწაული, მაშინ იქნება ჩვენი აღდგომა.

შეუწყოთ ხელი ამ აღდგომის მოახლოებას—ამას ითხოვს, სხვათა შორის, ჩვენგან დღევანდელი დიდი რევოლიუცია.

გორგი.

აკაკი ჩხენკელის ჩამოსვლა ქუთაისში.

შაბათს, 1 აპრილს ქუთაისში ჩამოვიდა კავკასიის კომისარიატის წევრი სახ. სათათბიროს დეპ. აკაკი ივ. ჩხენკელი. დილიდანვე ქალაქმა სადღესასწაულო ელფერი მიიღო. სახლებიდან გამოკიდებული იყო წითელი დროშები სხვა და სხვა სარევოლიუციო ლოზუნგებით. სადგურიდან ქალაქის ცენტრამდე იმ ქუჩებზე, საითაც კომისარს უნდა გაევლო ჯარისკაცები იდგნენ შპალერებათ. სადგურს დილის 8 საათიდან აუარებელი ხალხი მიაწყდა. სადგურის პერრონი, დარბაზები და მოედანი ხალხითა და ჯარით იყო სავსე. საათის თორმეტის ნახევარზე სადგურს ნელა მოუახლოვდა წითელი დროშით შემკული მატარებელი.

მატარებლის მოახლოვებისთანავე ჯარის ორკესტრმა მარსელიეზა დაუკრა. ჩხენკელის ვაგონში შევიდა ევგ. გეგეჭკორი და ქალაქის თავი ილ. ჩიქოვანი, რომელთაც კომისარი ბაქანზე ჩამოიყვანეს.

ახალი მთავრობის წარმომადგენელს მოკლე სიტყვით მიესალმა ქუთაისის გარნიზონის უფროსი პოლკ. დობროხოტოვი. გარნიზონის მორიგე აფიცერმა კი საპატიო მოხსენება გაუკეთა, რის შემდეგაც ჩხენკელმა დაათვალიერა საპატიო ყარაული და გრძნობიური სიტყვით მიმართა მას.

გამოვიდა თუ არა კომისსარი ჩხენკელი მოედანზე, მრავალ ათასიანი ხალხი „ვაშას" ძახილით და ტაშის კვრით მიეგება. მუშათა მომღერალთა დასმა მარსელიეზა შემოსძახა.

საგანგებოთ გამართულ ტრიბუნაზედ ავიდა ქალაქის თავი ილია ჩიქოვანი და მისასალმებელი სიტყვა უთხრა და ის აზრი გამოსთქვა, რომ მთელი ქუთ. გუბერნია მზათაა შეთანხმებულის ძალით იმოქმედოს ახალი მთავრობის და ახალი რეჟიმის განსამტკიცებლად.

ტრიბუნაზე შემდეგ ავიდა სალდათთა დეპუტატების წარმომადგენელმა, რომელმაც დაავალა კომისარს, რომ მან და მისმა ამხანაგებმა დამფუძნებელ კრებაზე დემოკრატიული რესპუბლიკა მოითხოვონ. მეორე ჯარის კაცმა სალამი გადასცა თავის ამხანაგებისა და დაუმატა, რომ ჯარი მუდამ მხარს გაუმაგრებს თავისუფლებისათვის მებრძოლთ.

სოციალ დემოკრატიულ პარტიის სახელით ილაპარაკა გრ. გიორგაძემ, რომელმაც ხალხს განუმარტა კარგად აკაკი ჩხენკელის და საერთოდ სოც-დემოკრ. პარტიის ღვაწლი რუსეთის დიდი რევოლიუციის მოწყობაში. ორატორმა ტრიბუნაზედ აიყვანა ერთი დევნილი სოციალ დემოკრატთაგანი არსენიძე, რომელიც ეს იყო რუსეთიდან დაბრუნდა.

უკანასკნელს ხალხი ოვაციებით მიეგება. არსენიძემ სწორედ იდეისათვის დევნილი და განაწამებ მებრძოლის რიხით და სიძლიერით უთხრა მოკლე სიტყვა ხალხს.

კომისარს სიტყვით მიმართა აგრეთვე სოციალისტ რევოლიუციონერმა ივ. გობეჩიამ

გრ. გველესიანმა ის აზრი გაატარა თავის სიტყვაში, რომ ამხანად საჭიროა მეტი შეგნების შეტანა პარტიათა მოქმედებაში, თორემ სიტყვა ავტონომიისა და ფედერაციის ხსენება რეაქციონურ გამოსვლად ითვლებაო.

შემდეგ ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის სახელით ჩხენკელს მიესალმა გრ. ცხაკაია.

ბოლოს ტრიბუნაზე ავიდა აკ. ჩხენკელი ხალხის ხანგრძლივი ტაშის კვრი შემდეგ დამსწრეთ სიტყვით მიმართა. მას სთქვა: რევოლიუცია კიდევ არ დამთავრებულა; ხალხმა მიიღო თავისუფლება, მას მოუპოვეს იგი და შემდეგში საჭირო გახდება მისი დაცვაო.

დიდი იმედის მიმცემია ის ვითარება, რომ ის ჯარი, რომელიც ხალხის წარმომადგენლების სათათბიროდან გამორეკაში ეხმარებოდა მთავრობას, დღეს ხალხის მხარეზეა. მიმართა რა შემდეგ ჯარს დეპუტატმა სთქვა, რომ რომანოვების დინასტია დღეს შებორკილია ჯარის ხელშია და მასზეა დამოკიდებული გაუშვებს ხელი დამ ამ ქვეყნის მტერს იგი თუ არაო. ორატორმა შემდეგ ის აზრი გაატარა, რომ ახლო მომავალში უნდა მოხდეს და მოხდება კიდევაც პარტიათა შორის შეთანხმება ვინაიდგან შეუძლებელ თავისუფალია რუსეთის არსებობა უიმისოდ, რომ მასში მყოფი ეროვნებანი განთავისუფლებულნი არ იყვნენ.

კომისარი საგანგებო ეტლით ქალაქის საბჭოს საკენ გაეშურა, სადაც დანიშნული იყო ქუთ. აღმასრულებელი კომიტეტის დახურული კრება აკ. ჩხენკელის თანადასწრებით გზაზე, მუშათა სალდათთა საბჭოს წინ და სოციალისტ-რევოლიუციონერთა კლუბის; წინ წარმოითქვა სიტყვები ორივე ალაგას დეპუტატი ეტლიდან ჩამოვიდა და ისე მოისმა სიტყვა

შ.

გალლიუცინაცია.

1.

ჩვენ მრავალნი ვიყავით დაბალ ჭერიან სარდაფში მწუხარებით დასუსტებულნი და დახშული ჰაერით ფერწასულნი.

ყველაზე უფრო იტანჯებოდა დედა...

მოხუციაო, გვეუბნებოდენ მეზობლები და ბუნებრივია მისი სულთა ბრძოლაო. მაგრამ შვილისთვის, განა ოდესმე მოხუცდება დედა?!

გამხდარი იყო... თვალებს ძლივს ახელდა... სთვლემდა უფრო ხშირათ... წყნარი მილეული ხმა იშვიათად გვესმოდა მისგან.

მაგრამ რა სათნო იყო ეს სახე... ეს თეთრ შერეული თმა, ეს გრძელი ხშირ ისრებათ წამოსული წამწამი, სიყვარულით სავსე თვალების დარაჯები... რა ნაზი მიხრა მოხრა ჰქონდა ნარნარ სხეულის ნაკვთებს.. რა ტკბილი, მუდამ მომხიბვლელი სმენისა იყო სიტყვა მისი...

და ეს დაბალი ჭერი სარდაფისა რომ არ დაწოლოდა მძიმე ტვირთად; ერთხელ სინათლეს რომ შემოეხედა ჩვენს ბნელს სადგომში;პური გვქონოდა სამყოფი ავათ მყოფისთვის ის ისევ ძველებურათ გადაგვიშლიდა თავის მკერდს გულში ჩასაკრავათ,თავის კალთის ქვეშ შეგვკრეფდა და ვიგრძნობდით შემაერთებელს კერას ოჯახისას.

მეზობლებს ჰყავდათ თავ-თავიანთი დედა ჯანსაღი, კეთილი შვილთა თვის თა მოყვარული და ჩვენ კი ვობლდებოდით...

სევდა ეფარა ყოველივეს.

სნეულის ხსნისთვის გზებსა ვეძებდით და ზოგჯერ სასოწარკვეთილნი სასწაულს ველოდით...

2.

დიდებული სურათი იყო.

მოძღვრის პირველ ხარებაზე: „ქრისტე აღდგა''.

ზღვა ხალხმა იგრიალა:

— ,,ჭეშმარიტად აღსდგა''.

და ხალხის უზომო სიამოვნებას ამჟღავნებდა უთვალავი კელაპტრების ბრჭყვიალი, საზეიმო ოქროს ფილონი და ოლარი მოძღვარისა და მგალობელთა გულს-ჩამწვდომი გუგუნი:

,,ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.''

ხალხი ლიტანიას უვლიდა ტაძარს. ცისა და მიწის სიხარული შეერთდა. კელაპტრები იწოდენ ნიშნად სინათლის ქვეყნად ჩამოსვლისა და ცისკარი ამომავალი მზის სხივებით შეიღება.

,,სიკვდილი დაითრგუნა''—ვგიჟდებოდი სიხარულით—,,მაშ დედაც, ჩემი სათნო დედაც, აღარ მოკვდება''...

,,საფლავების შინათა ცხოვრება მიენიჭება ყველას და''—გონ დაკარგული ვხტოდი—,,ჩვენ დაბალ—ჭერიან სარდაფშიაც ფერ მკრთალობისა და სისუსტის მაგიერ ჯანი მოგვეცემა, და ვარდის ფერი გადაჰკრავს ჩვენ ჩაყვითლებულ სახეს..''

— დედა, დედა, ნუღარ გეშინის, ქრისტე აღსდგა! მიეც სათნოებას სული და იმედი ჩაისახე გულში... საფლავთა ლოდები გადატრიალდენ და ეს ჭერი ხომ გაირღვევა და დაინახავ შენს მზეს, დაყნოსავ ზამბახს და იას...

3.

დედამ ლოგინიდან გადმოგვხედა და ძლივს გვითხრა, უფრო გვანიშნა:

— ჭერი.., სული მეხუთება...

მივვარდი პატარა სარკმელს, მარადჟამს დაკეტილს, მინდოდა ამომემტვრია...

მოულოდნელად შემაჩერეს:

— მოიცა რას შვები, მტვრევა-მსხვრევის ხმა არ შეეფერება საერთო მხიარულებას ჟივილ-ყიჟინს... მოიცა დრო მივა...

— დედა იხრჩობა, რათ მაჩერებ—ვერ გავიგე სიტყვები—საფლავების ლოდები გადაატრიალეს, ამტვრევენ და ეს სარკმელი რა დასაზოგავია?!.

— მოიცა ჯერ სავსებით ავიდეს მზე, ცათ ავიდეს ქრისტე, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი, ჯერ საფლავების შინათა ცხოვრება გაჩაღდეს და მაშინ...

სარკმელის წინ ისეთს სქელ, გაურღვეველ წყებათ დამდგარიყვნენ, რომ სარკმლის გამტვრევის წადილიც კი, დედისთვის საბედისწერო ხმაურობას შექმნიდა...

ისევ დედასთან მოუბრუნდი.

მიბნედილ თვალებიდან ერთი წვეთი ცრემლი ჩამოვარდნოდა და ფერ-წასულ ლოყაზე მარგალიტივით ესვენა.

და ძლივს გავიგონე ფუჩუნი:

— დიდი ხანია ვიტანჯები... კიდევ მოვითმენ... მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე მეც მომიგონებს...

— ვინ არის ამ ნეტარების წამს, რომ ცრემლსა ჰყრის და იტანჯება?

— მე ვარ ეს—მიუგო დედამ—შენი აღდგომის საფლავთა შორის მომლოდინე... შენ აღსდეგ ჭეშმარიტად.., მწყუროდა შენთან მოსვლა თავყვანის საცემლად, მაგრამ სული მეხუთება...

— აღსდეგ! —ბრძანა ქრისტემ.

ჭერი აიწია... სარკმელი გაფართოვდა და

ამობრწყინდა მზე დიდებულთა და განანათლა ქვეყანა ბნელი.

ნ. ლ.

რუსეთის ამბები.

კადეტების ყრილობა პეტროგრადში.

ყრილობა გახსნა თავ. პ. დოლგორუკოვმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა დროებითი მთავრობისათვის მხარის დაჭერა და ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანის საჭიროებაზე თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვინავერი, რომელმაც წინადადება შეიტანა მოკავშირე სახელმწიფოებს მისალმებოდნენ. მოსკოვის დელეგატი მანდელშტამი ამბობს, მთელი ძალა დროებითი მთავრობის ხელში უნდა იყოს; ორი მთავრობა შეუწყნარებელიაო. ყველა სიტყვას კრება მხურვალე ტაშით ეგებება. კოკოშკინმა წარმოადგინა მოხსენება მმართველობის ფორმის შესახებ და განმარტა, თუ 11 წლის წინედ პარტიამ რატომ წამოაყენა პარლამენტარ მონარქიის ლოზუნგი; ეს პარტიის იდეალი არ ყოფილა, ეს მხოლოდ პოლიტიკურ მიზან შესაბამობის ლოზუნგი იყო. ასეთი მონარქია უნდა ყოფილიყო მხოლოდ საშუალება უკეთეს ფორმისაკენ გადასასვლელად. პარტია ყოველთვის სოციალის სამართლიანობას დარაჯად უდგა დ სოციალიზმს არაოდეს არ გამოყოფვია,მაგრამ აღიარებს, რომ სოციალი წესწყობილება დამყარდება არა რევოლიუციით, არამედ სოციალი იდეა განხორციელდება მაშინ, როდესაც იგი მასათა შეგნებას შთაენერგება. მოხსენებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას მოითხოვს. პრეზიდენტის არჩევანი უნდა იყოს არა სრულიად სახალხო როგორც ამერიკაში, რადგან საშიშოა პრეზიდენტი სრულიად სახალხო ხმის მიცემით არჩეული ვითარცა ადამიანი მეტის მეტად დიდის ნდობით აღჭურვილი: პატივმოყვარეთათვის ეს აბსოლუტიზმისაკენ გადასავალ გზას წარმოადგენს. მომხსენებელი საპარლამენტო რესპუბლიკას მოითხოვს. ყრილობა მომხსენებელის თეზისს ეთანხმება.

⁂

— ბურცევმა დაამტკიცა პროვოკატორობა მოსკოვის ყოფილ დეპუტატის სოციალ-დემოკრატის მალინოვსკისა, რომელმაც მოულოდნელად უარი სთქვა მანდატზე და საზღვარგარეთ მიიმალა. მას თურმე კავშირი ჰქონდა ბელეცკისთან და აწვდიდა მას ცნობებს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და მთელი დუმის მოქმედების შესახებ. როცა პოლიციის დეპარტამენტი კიენკოვსკის ხელში გადავიდა, ეს უკანასკნელი აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ ,,ოხრანკამ'' სათათბიროში პროვოკატორი გაიყვანა და მალინოვსკის გაძევება მოითხოვა. 6.000 მანეთი მისცეს და გაისტუმრეს. მაშინ ის საზღვარგარეთ გაიქცა.

ყოფილ მინისტრს დობროვოლსკის მექრთამეობაში ბრალსა სდებენ. ვინმე ნახიმოვისაგან, რომელსაც ნავთიან ადგილის უკანონო შეძენისათვის საარესტანტო განყოფილება ჰქონდა მისჯილი, დობროვოლსკის ქრთამი აუღია და მეფის წინაშე ნახიმოვის პატიების შესახებ შუამდგომლობა აღუძრავს. სამართლის მაშინდელ მინისტრის მაკაროვის ამ აქტის დამტკიცებაზე უარი უთქვამს, რისთვისაც ის რასპუტინისა და დედოფლის ინტრიგების შემწეობით გადაყენებულ ყოფილა, ხოლო მის მაგიერ დანიშნულა დობროვოლსკი რომელმაც საქმის სისრულეში იყვანას ხელი მიჰკიდა. ნახიმოვმა დედოფლის სახელობის სავადმყოფოს 400 ათასი მანეთი შესწირა.

მილიუკოვის საუბარი პრესის წარმომადგენლებთან ომის მიზნების შესახებ მითქმა მოთქმას იწვევს. კერენსკი აცხადებს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზნების შესახებ მილიუკოვის მიერ წარმოთქმული განმარტება წარმოადგენს მთქმელის საკუთარ შეხედულებას და არა ერთხელ გამოუთქვამს არსებით საკითხების შესახებ თავისი ინდივიდუალი შეხედულება, თითქოს რუსეთში გაერთიანებული კაბინეტი არ არსებობდეს. მილიუკოვის ამხანაგებს ურჩევენ, დაავალონ მილიუკოვს ისეთ განცხადებათაგან, რომელნიც ალიარებენ დემოკრატიას, თავი შეიკავოს და ან დაემორჩილოს ასეთს მოთხოვნას, ან წავიდეს.

ახალი ამბავი.

◆ **დღესასწაულების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი მორიგი ნუმერი გამოვა ხუთშაბათს, 6 აპრილს.**

◆ რუსეთის უნივერსიტეტებში მეორეთ ქართველ სტუდენტებს გადაუწყვეტიათ რაც შეიძლება მალე სამშობლოში დაბრუნდენ.

◆ 26 მარტს, გორში მოხდა გორის აზრის სახალხო მასწავლებელთა კრება, დაადგინეს დაარსდეს მოძრავი სკოლები წერა-კითხვის გასავრცელებლად ხალხში. კრებამ აირჩია ათი დელეგატი 7 აპრილს მასწავლებელთა დელეგატების კრებაზე დასასწრებლად. სასურველია გორის მაგალითს სხვა ჩვენი დაბა ქალაქ-სოფლებიც მიჰბაძავდენ.

მეღვინეთა დეპეშა.

◆ ბათუმი. ბათუმის მეღვინეებმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნეს კავკასიის კომისარიატს: ბათუმელმა ღვინის მოვაჭრეებმა თავის კრებაზე დაადგინეს: აცნობოს ამიერ-კავკასიის კომიტეტს თავისი თანაგრძნობა ძლევამოსილ რევოლიუციის დროებით მთავრობისადმი. გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ყველა მშრომელთა საკეთილდღეოთ. ამასთანავე კრება საჭიროდ სთვლის ამიერ-კავკასიის საჭირო განკარგულებისათვის თავისი საჭიროებანი აცნობოს. ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობის საარსებო წყაროს მეღვინეობა და ღვინით ვაჭრობა შეადგენს. ღვინის ვაჭრობის აღკრძალვა კი, წარმოების ამ დარგს დიდად აფერხებს და კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებს. არ არის ვენახების დასამუშავებელი იარაღი და წამალი, მეღვინენი კი ცხოვრების სახსარს არიან მოკლებული. ჩვენ ამნაირ თხოვნით თქვენდამი მიმართვას ვერ გავბედავდით, ვერ გავბედავდით ჩვენის ვიწრო, კერძო ხასიათის თხოვნით შეწუხებას, ამ სერიოზულ ხანაში, დარწმუნებულნი, რომ ვიყოთ, რომ ღვინის გაყიდვის ნებართვა, თუნდ ცოტათი მაინც, შეაფერხებდეს განმათავისუფლებელ მოძრაობას. იმის შიში, რომ რამოდენიმე კაცი დაითვრება და ეს რეაქციონერებისათვის ხელ-საყრელი იქნებაო, უსაფუძვლოა. შეიძლება სიმთვრალისათვის სასჯელი დაინიშნოს და თვით სიმთვრალეც საზოგადოების კონტროლს დაექვემდებაროს, ხოლო ვისაც ღვინით ვაჭრობის სურვილი აქვს, ნება მიეცეს თავისუფლად ივაჭროს და ამით ხალხს შეძლება მიეცეს შეღავათით იხმაროს ღვინო, ხოლო მეღვინეობა კი დაღუპვისაგან დაიხსნას.

ბათუმის ღვინის მოვაჭრენი.

◆ **ქ. ენზელი** (სპარსეთი). 9 მარტს გაიმართა დიდი მიტინგი; აუარებელი ჯარის კაცი დაესწრო; წარმოითქვა მომენტის შესაფერი აღმაფრთოვანებელი სიტყვა. საერთო სიამოვნებას საზღვარი არა აქვს. ყველგან წითელი დროშა ფრიალებს, ჯარში დიდი აღფრთოვანებაა და ერთსულოვნობა სუფევს, არავითარ უწესრიგობას ადგილი არ აქვს.

10 ს სხვა და ჯარის ნაწილის და ადგილობრივ მუშების დეპუტატებისაგან ამორჩეულ იქმნა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შესდგება 20 წევრისაგან, მათ შორის ორი ქართველია.

— ადგილობრივი სამიკიტნო დუქნები დაკეტილია; ტრანსპორტის მისვლა-მოსვლა წესიერად სწარმოებს.

— 11 ს გაიმართა ქართული კრება; კრებას 500-დე მეტი ქართველი ჯარის კაცი დაესწრო. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გრ. ტ. მაჭავარიანი, რომელიც ოვაციებით მიესალმა კრება, დაახასიათა ძველი მთავრობა და მათი დამოკიდებულობა საქართველოსთან, „ურას" ძახილს, „გაუმარჯოს ქართველ ერს", „თავისუფალ საქართველოს", საზღვარი არ ჰქონდა. ამორჩეულ იქმნა 5 კაცისაგან შემდგარი „ქართული ბიურო". ბიურო უკვე შეუდგა მოქმედებას,

(„საქ.")

◆ **სოფელი ტობანიერი.** სოფელ ტობანიერიდან ჩამოვიდა ადგილობრივ მცხოვრები ნოე სამსონისძე თვალავიშვილი, რომელმაც აცნობა სოფიო მიქელაძის ქალს, რომ მისი ადგილი რომელიც მას ქონდა მიგირავებული ჩამოართვეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა: ერმილე წიქვაძემ, შენგელიამ, დათია ტაბიძემ და პავლე წიქვაძემ-შემდეგი წინადადებით: „ახალმა მთავრობამ გაიმარჯვა და ადგილები რომლებიც აქამდე თავად აზნაურობას ეკუთვნოდა აწი ჩვენ გვეკუთვნისო. და თანასწორად უნდა გავინაწილოთო". საჭიროა ასეთ არასასურველ მოვლენებს ყურადღება მიექციოს.

◆ გუშინ ქუთაისში ჩამოვიდა დეპუტატი აკაკი ჩხენკელი. სადგურზე მას მრავალი ხალხი ოვაციებით მიეგება ასეთივე ოვაციებით გამოაცილეს ქალაქში.

◆ როგორც ზესტაფონიდან იტყობინებიან იქ ავათ გამხდარა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ხალხოსანი ვლადიმერ (ლადო) სიმონის ძე აბაშიძე.

◆ რედაქციამ მიიღო წიგნაკი ქუთ.

ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა გამოცემა № 25 მოთხრობა გი-უ-დე მოპასანისა „დამრჩვალი" თარგმანი ლევან ასათიანისა. წიგნაკი შინაარსიანია, ლამაზათ არის გამოცემული და ღირს 8 კაპ.

თბილისის ქართველი ისრაელების მოქმედების გამო.

გაზ. „ზაკავკ. რეჩ"-ის მე № 73-ში ბ-ნი ნ. ნამთალაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, ისრაელ ქართველთა გამოღვიძებას და სწერს:

„როგორც იქნა თბილისის ისრაელმა ქართველებმაც გამოიჩინეს ინტერესი მომენტისადმი. მათ შორის იმართება მიტინგები, სხდომები და კრებები მიმდინარე მომენტის გასაშუქებლად. ისრაელ ქართველთა ახალგაზდობა, რომლის წარსული ცხოვრება მხოლოდ დუქნისაკენ და გარეგნობისაკენ იყო მიყრდნობილი უკვე წამოსდგა ფეხზე და ანგარიშს უწევს დღევანდელ მომენტს, საბედნიეროთ შეგნებულ ანგარიშს. ეს ახალგაზრდობა ეხლა თვის წმინდა მოვალეობათა სთვლის სამშობლოსადმი სამსახურს და შეძლებისადაგვარი წვლილიც შეაქვს საერთო ძვირფას საქმის განსამტკიცებლად".

მეტად სასიცოცხლო და მისასალმებელია ასეთი მოვლენა ქართველ ისრაელთა შორის. თბილისის ისრაელი ქართველობა შედარებით ქუთაისის ისრაელ ქართველებთან მეტად მცირე რიცხვს წარმოადგენენ და სავალალო სწორედ ის, არის, რომ ამ ქუთაისის ისრაელმა ქართველებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო ფხა და აიბნ-დაიბნენ. არ იციან რა ქნან, როგორ მოიქცენ, ვის მიმართონ, მართალია მათ ჰყავთ რამდენიმე განათლებული და შეგნებული პირები, ნასწავლებიც არ არის მათ შორის მაინც და მაინც მცირე, მაგრამ რა ჰქნან მოსწავლეებმა, როდესაც მათ ზურგის გამმაგრებელი მასსა არა ჰყავს, როდესაც ისინი შეკავშირებულნი არ არიან, როდესაც მათ უნდობლად შეცქერის მასსა? საკმარისია, ერთი ორი სიტყვა წარმოსთქვას შეგნებულმა ისრაელმა ქართველმა მასსის შესაერთებლათ, სწორი გზით წასაყვანად, რომ რამდენიმე ფანატიკოსმა პირმა ამას ყელში ეცეს და დასაწყისშივე ჩაუხრჩოს გულში წყეული სინიდისის მიერ ნაკარნახევი აზრები

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი აუტანელი მდგომარეობა? როდემდის არ უნდა ამოიღონ თვისი ხმა ჩვენმა ძმებმა ისრაელმა ქართველებმა? რათ არ სცდილობთ ძმებო თქვენი გულის ნადები გამოაქვეყნოთ და დაგვანახოთ მოძმე ქრისტიანებს, რომ ეხლა თქვენც ჩვენთანა ხართ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში რომ თქვენი სული და გული, თქვენი გონება, გრძნობა და ნება სამშობლო— საქართველოს კეთილდღეობისაკენ არის მიმართული. ჩვენ არ გვავიწყდება თქვენი წარსული ღვაწლი, თქვენი გულწრფელი ერთგულება სამშობლოსადმი: არ გვავიწყდება ჩვენი მუდმივი ერთობა, ერთი გზით ერთი მიზნისაკენ სიარული და რათ არ გაისმის ამ დიდებულ მომენტშიდაც თქვენი მწყობრი ხმა? რა გიშლით ხელს? ან ვინ გიშლით ხელს? გამოდით, ამოგვიდექით გვერდით და კვლავაც გვითხარით: თქვენთან ვიყავით, თქვენთანა ვართ და თქვენთანვე ვიქნებით. შეითვისეთ მომენტის სიდიადე, განიმსჭვალეთ თავისუფლების სურვილით. ნუ თუ სამუდამოთ უნდა დარჩეთ ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში? ნურც თქვენ ჩამორჩებით საერთო ზეიმს და შეუერთდით მთელი რუსეთისა და საქართველოს ძახილს.

ზემო სვანეთი.

მკითხველს კარგათ მოეხსენება, რომ სვანეთი ჩამორჩენილია კულტურულად ჩვენს კუთხეებს—უგზო უკვლობის გამო. რომელიმე კეთილ საქმის შედეგები და ამბავი მოგვდის ჩვეულებრივად გვიან, განსაკუთრებით ზამთარში—როდესაც გზა და კვალი დაკეტილია.

გავიგეთ აქ მხოლოთ 22 მარტს, რომ ქ. ქუთაისში 26 მარტს მოხდება კრება ქართველ მასწავლებლებისა, სადაც უნდა გაარჩიონ საერთოდ სკოლების საქმენი ჩვენ კარგათ ვგრძნობთ, რომ მდგომარეობის გაუმჯობესება ყველაზე მეტად ესაჭიროება სვანეთის სკოლებს ვინაიდან ისინი თითქმის ყოველნაირად ცუდ პირობებში იმყოფებიან ერთი ჯგუფი მასწავლებლებისა მსურველი იყო, რათა დავსწრებოდით ქ. ქუთაისში კრებას და გულახდილად გვეღიარებინა სკოლისა და მასწავლებლის მდგომარეობა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ გარემოებამ ხელი შეგვიშალა, ჩვენს სურვილს წინ გადაეღობა—ეს მიზეზია სიშორე და უგზო უკვლობა. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ, იმ დროს, როცა მოვისურვეთ მინდობილობით ერთ-ერთ მასწავლებელთაგანის დელეგატათ კრებაზე გაგზავნა (რისთვისაც ჯეროვანი მოწოდებაც შევადგინეთ) ზოგიერთმა მასწავლებელმა არ უთანაგრძნეს, პირიქით დაარღვიეს ყოველივე პლანი მოქმედებისა.

არასასურველად მომქმედნი ინტელიგენტნი და მათი მოქმედებაც მოკლე მომავალში გაცნობილი იქნებიან საზოგადოებისგან, რათა პასუხი აგონ ჯეროვან სამსჯავროს წინაშე.

ჩვენ სრულის შეგნებით უერთდებით კრების დადგენილებას და იმედი გვაქს რომ კრება უყურადღებოთ არ დასტოვებს სვანეთის სკოლებსაც.

მასწავლებლები **ხერგიანი ს. ნავერიანი.**

ანანოვის ნოქრების „ოინები".

(ქუთაისის მუშათა კომიტეტს)

სოფ. ვარციხე ჩვენ ანანოვის ხე ტყის მუშები ვართ, რატნიკები, ლურჯ-წითელ და თეთრ ბილეთებიანი, მართებლობის ნებართვით სამხედრო ბევრის დროებით შესასუბუქებლათ უნდა ჩავწერილიყავით, რომელიმე სახელმწიფო საქმეში მაგრამ სიღარიბის გამო შორს ვერ წავედით. მივმართეთ მიხრან ანანოვის და ივან სტეფანეს ძის მემკვიდრეთა მამულების ნოქრებს ლავრენტი მიქელაძეს და აბგარ ივანეს ძეს (გვარი არ ვიცით), რომ მიველით მუშებათ. მაგრამ მათ უარი გვითხრეს და გვიბრძანეს უფულოთ მიღება ყოვლად შეუძლებელიაო, რის გამოც მეტად დავღონდით... ვადაც გადიოდა ბილეთისა,- ან უნდა ჩავწერილიყავით სადმე, ან და სამსახურში გამოვცხადებულიყავით. დიდი ფიქრის შემდეგ დავტრიალდით ჩვენ-ჩვენი ოჯახის დასაფასებლათ გავყიდეთ, ზოგმა ხარი, ზოგმა ძროხა და ზოგმა უკანასკნელი საზრდო სიმიდი (დღეს კი შიმშილით ვიხოცებით). შევაგროვეთ ფული მივედით მეორეთ და შევსთხოვეთ ჩაწერა რაზედაც დაგვეთანხმნენ მაგრამ ისეთი ჩარჩული ვაჭრობა დაგვიწყეს, რომ ჯვარს გვაცვეს. დიდი ვაჭრობის შემდეგ დაგვპირდენ ჩაწერას შემდეგის პირობით კაცის თავზე მოგვთხოვეს 20 მან. დან 50 მანეთამდე, უნდა მიგვეცა რა ჯანი გვქონდა ჩავაბარეთ ჩვენი უკანასკნელი წვლილი. როცა ჩაიწყვეს ფული ჯიბეში ჩაგვწერეს და ჩამოგვართვეს სამხედრო უფროსის წიგნაკები. დაგვნიშნეს მუშებათ, ზოგი „ტრავერსის" დასამზადებლათ, ზოგი სასახლის დარაჯათ, ზოგი ზეინკალათ, ზოგი მებოსტნეთ, ზოგი მეჯინიბეთ და ზოგიც თავიანთი ჩექმების საწმენდათ.

მგონი სახელმწიფო გზის ტრავერსის" დამზადებაზე ნახევარიც არ დაუნიშნავთ. ორივე მამულში მუშაკი ვიყავით 400-500 კაცამდე ყველა ჩვენგან მიიღეს ქრთამი 15 ათასი მანეთამდე. ჩვენი 6 თვის ნამუშევარის ქირა სულ ერთიანათ მოუნდა მაგათ ჯიბის გასქელებას და ჩვენ საწყალი მუშები უკაპიკოთ ვბრუნდებოდით ოჯახებში. მუშები ვართ უმეტესად ბაღდათის რაიონიდან და სხვა მხრიდანაც. ჩვენ მუშები ანანოვების ტყისა ვაძლევთ წინადადებას მოქალაქეს და აბგარ ივანეს ძეს ჩვენგან მიღებული ფული უკანვე დაგვიბრუნოს და ვსთხოვთ ქუთაისის მუშათა კომიტეტს ისინი დაითხოვოს სამსახურიდან, როგორც მძარცველი მშრომელი ხალხისა.

ამხანაგების მონდობილობით მუშა

ვანო მესხიშვილი.

დაწვრილებითი ცნობები გენ. ევერტის გადაყენების შესახებ. სახელმწიფო

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	8 ს.		წ.
„	საღამ.	8 ს.	50	„
ბათომიდან	დღისით	12 ს.	40	„
„	ღამის	1 ს.		„
ფოთიდან	დილის	10 ს.	26	„
ტყიბულიდან	საღამოს	6 ს.	50	„
მარელისიდან	დილის	9 ს.	24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს.	—	„
„	ღამის	11 ს.	34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს.	5	„
„	დილის	7 ს.		„
ფოთისაკენ	დღისით	4 ს.		„
ტყიბულისაკენ	დილის	8 ს.	40	„
სმარელისისაკენ	დღით	5 ს.	20	

მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჰერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

სიდინჯე!

ახალი მთავრობას განმტკიცება სჭირია. ყოველ მშვიდობიანობის დარღვევა, პარტიათა შორის გამწვავება ამ მიზნისთვის უაღრესად მავნეა. ამიტომ გთხოვთ ერიდოთ ყოველ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს.

იმ პირთა შესახებ, რომელნიც ეწევიან პროვოკაციას, ცილს სწამებენ პარტიებს და მოწინააღმდეგეებს სასურველია შეატყობინოთ, ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რადგან ისინი არიან შეგნებული, თუ შეუგნებელი, მტერნი რევოლიუციისა.

ქუთ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას კომიტეტი.

უღრმესად დამწუხრებულნი მშობლები; ნიკოლოზ ლუარსაბის ძე, მეუღლე მისი მარიამ, ბაბუა ნიკიფორე იესეს ძე კვიმსაძე, ბებიები: ანნა ლევანის ასული კვიმსაძისა და სეფორე ნიკოლოზის ასული გრიგორაშვილისა, ბიძა მაქსიმე ლუარსაბის ძე გრიგორაშვილი და ბიცოლა ნინა სპირიდონის ასული გრიგორაშვილისა გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 1-აპრილს გარდაიცვალა ყელ ჭირვებით მე-6 კლასის ქალების გიმნაზიის მოწაფე დაუვიწყარი

ქეთევან (ქეთუშა) ნიკოლოზის ასული

გრიგორაშვილი

მიცვალებულის დაკრძალვა დანიშნულია საფირჩხიის სასაფლაოზედ, რომელსაც გამოასვენებენ თავის საკუთარ სახლიდგან (ძველი თფილისის ქუჩა) სამშაბათს, 4 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიული

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „სამშობლოს" რედაქციის კანტორაში.

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაში პირველ აპრილიდან

განახლდება

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა.

კვირას, 2 და სამშაბათს 3 აპრილს გაიმართება

დიდებული წარმოდგენები,

დღეში ორი. **დილით** დასაწყისი შუადღის 1 საათზე დიდი პროგრამა განუწყვეტლივ გასართობები. მონაწილეობენ მოჯირითე კაცები და ქალები, გიმნასტები, გლადიატორები, ეკვილიბრისტები, ექსცენტრიკები, გაწვრთნილი ცხენები, კატები და ყველა ხუმრები. **საღამოთი** საგანგებო პროგრამა, მონაწილეობენ ევროპაში ცნობილი მსახიობნი, დებიუტები, გასტროლები და სხვა. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 27 მარტიდან საუცხოვო პროგრამა, რომლის შემოსავლიდა ნაწილი ბრძოლის ველზე მყოფთათვის სააღდგომო საჩუქრების დასამზადებლად გადაიდება. **ცდუნებას ქალღმერთი** მხატვრ. დრ. 5 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა ფრანჩესკო ბერტონის მონაწ. პატეს სამხედრო ქრონიკა.

ელექტრო ამპირ თეატრი

ორშაბათიდან, 27 მარტიდან შესანიშნავი სურათი, რომლის შემოსავლიდან ნაწილი ბრძოლის ველზე მყოფთათვის სააღდგომო საჩუქრების დასამზადებლად გადაიდება. **სახელგანთქმულობის მწვერვალზე.** დრამა 6 ნაწ. მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწ. ტიკანების თეატრი კუნძულ სავაზე, სანახაობა.

ექიმები:

ბ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8 ტელეფონი № 101.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: კაზაკოვის და გენერლის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის№15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საათამდე. მასწავლებელი ა. ჩ. თელია. 5 თ.

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუშლი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს, ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი გ. კოსტავას სახლი № 17. 8 თ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ტ. ფ. ფილოიანისა.

ორივე სქესისათვის (თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976). თხოვნის მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყო თუთხმეტ იანვარს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში. 11 თვ.

განცხადება.

ძმათა ქორქოლაძეების მაღაზიაში მიღებულია საუკეთესო ხარისხის

საპონის „სოდა",

აგრეთვე ყოველივე ბაკალიური საქონლები.

ფასები ყველაფერზედ ზომიერია. 10 თვ

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქ., სახლი ტამბა გოკიელოვისა